ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ — ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲙ. — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ 1915 Წ. № 164

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მანეთი.
ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ № ᲦᲘᲠᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ 7 ᲙᲐᲙ.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

1916 Წ. — „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ — 1916 Წ.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

**ᲣᲞᲠᲔᲛᲘᲝᲓ:** ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲦᲘᲠᲡ 8 Მ. 50 Კ. ᲤᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲖᲔᲓ:
1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔ 3 Მ., 1 ᲛᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ 3 Მ., 1 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲛᲓᲔ 2 Მ. 50 Კ.

**ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲗ:** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

## ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ:

1) ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲘ“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხზედ.
3) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲙᲐ.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.
ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

---

ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ
ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
Ი. Თ. ᲒᲕᲐᲗᲣᲐᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

Ქ. ᲒᲝᲠᲨᲘ
ᲔᲥᲘᲛᲘ ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ
ᲞᲠᲝᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ
Მ. Დ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ-ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘ
პეტროგრადის უნივერსიტეტისა
ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.
საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.
პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
15(—4)

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲓᲝᲡᲢᲐᲥᲐᲠᲘ
Გ. Მ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ
ᲔᲫᲔᲑᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲡ,
ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. მისამართი იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.
(15—11—9)

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ
მოსე ანთიმოსის ძე
ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲐ
ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ
(ᲮᲝᲓᲜᲔᲕᲘᲡᲐᲛ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

პირველი წელი — პირველი წელი

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲗ 1916 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ

### ᲙᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

## „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡ 4 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“-Ს ᲬᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ „Მ Ე Რ Ა Ნ Ი“ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

# ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ᲝᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

### ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡᲐ

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ**, 8 ქრისტეშობისთვე. **ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი.** რუსის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს გერმანელთა ბანაკში მოლუციშკი-კომაისთან, სვენციანის აღმოსავლეთით. გერმანელთა შორის პანიკა მოხდა. გალიციაში, ნ. ალექსინეც-ბუჩაჩისა და ზალეშჩიკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი შეეცადა იერიშებით წამოსულიყო, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა.

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ.** მდგომარეობა უცვლელია.

**ბალკანეთში.**

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 7 ქრისტეშობისთვე. რეიტერის სააგენტო იუწყება: ალბანეთის ტერიტორიაზე ბულგართა და ბერძნების შუა შეტაკება მოხდა. რამდენიმე დაიჭრა. როგორც ამბობენ, ბულგარები თავს დაესხნენ ბერძენთა მოდარაჯე რაზმებსაო.

გენერალი ტაუსენდი ამბობს, რომ 18 გიორგობისთვეს კუტელამართან და 30 გიორგობისთვეს ოსმალთა იერიშების დროს მტერს დიდი ზარალი მოუვიდა, დაჭრილ-დახოცილი 2.500 კაცს უდრისო.

შერეული ჯარი ინგლისელთა ინდოელ ჯარებისა ღამით 5 ქრისტეშობისთვეს მოულოდნელად დაესხა თავს ოსმალთა მოწინავე სანგრებს, 30 კაცი მოჰკლა და 11 ტყვედ წამოიყვანა.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 7 ქრისტ. სამხედრო სამინისტრო დამატებით ცნობებს იძლევა სუვლის ევაკუაციის გამო. ეს დიდი არმია ისე წამოვიდა, რომ ოსმალთ შეუმჩნეველი დარჩათო. ფრონტის შევიწროებას მოჰყვება ენერგიული ომი სხვა და სხვა პუნქტებზე. გენერალი მონრო ქებით იხსენიებს ბევრს გენერალს და საზღვაო აფიცრობას, რომელთაც ასე ხელოვნურად მოახერხეს ჯარების გადაყვანა.

**ᲡᲝᲚᲣᲜᲘ**, 7 ქრისტ. ფრონტზე სიწყნარეა. განუწყვეტლივ მაშველი ჯარები გადმოდიან. მოკავშირენი განაგრძობენ სიმაგრეების აგებას. გუშინ საოკეანო ხომალდმა მრავალი სამხედრო იარაღი მოზიდა. შვიდმა აფიცერმა და შეძლებულ ბერძენთა რამდენიმე ოჯახმა დასტოვა ქალაქი.

რუსის ხომალდი „ოდესა“ 300 სერბელი გამოქცეულებითურთ მარსელში მოვიდა.

ამბობენ, გერმანელები ბულგართა ჯარისკაცებს ავსტრო-გერმანულ ფორმაზე აცმევენ, რათა ბერძნები მოატყუონ და მათს ტერიტორიაზე ესენიც აბრძოლონო.

**ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, 7 ქრისტეშ. გაზეთებმა ხელმწიფე იმპერატორის სახელობის დღეს განსაკუთრებული წერილები უძღვნეს. უსურვებენ დღეგრძელობას არა მარტო მეფეს და რუსის მხედრობას, არამედ მთელს კაცობრიობას, რომელიც ომის გამო ათას შევიწროებას იტანს. გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რუმინეთი ეცდება ბოლომდინ სასტიკი ნეიტრალობა დაიცვასო.

**ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ**, 7 ქრისტეშ. ავსტრიელთა ჰაეროპლანმა 4 ქრისტეშობისთვეს სკადრში სამი ყუმბარა ჩააგდო და ერთი კაცი და ქალი იმსხვერპლა, ორივე სერბელი გამოქცეულია.

**ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, 7 ქრისტ. სოფიიდან იუწყებიან, რომ გერმანელებს გარდაწყვეტილი აქვთ არ შესწყვიტონ ბალკანეთში ბრძოლა, ვიდრე საბერძნეთის ტერიტორიაზე ინგლის-საფრანგეთის ჯარები ეგულებათო. თვითონ ბულგარები კი არ ერევიან საქმეში. მათ და ბერძნებმა პირობა დასდეს სანეიტრალო ზონას, სივრცით 2 კილომეტრამდე, არას გზით არ გადასცილდნენ. ამბობენ, პრინცი ვილი ავსტრო-გერმანელებს ხელმძღვანელობს სერბების მოსასპობლადაო.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 7 ქრისტ. თემთა პალატაში ტენანტმა განაცხადა, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ინგლისელებს 28 გიორგობისთვიდან დაჰკარგვიათ 32 აფიცერი და 1246 ჯარისკაცი.

**დასავლეთი ფრონტი.**

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 7 ქრისტეშობისთვე. თემთა პალატაში ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა: სამხედრო მასალის საქმე კარგად მიდის. მისი რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ თამამად შეგვიძლიან მოკავშირეებსაც კი მივაწოდოთ, თუ კი ამას დაისაჭიროებენო. მან მუშები ქებით მოიხსენია. ქარხნებში მუშაობა დღე და ღამე არა სწყდება და მათზეა დამოკიდებული ათასთა და ათიათასთა სიცოცხლეო.

**ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ**, 8 ქრისტეშობისთვე. გაზეთ „პოლიტიკენ“-ს როტერდამიდან ატყობინებენ, რომ ანტვერპენში მრავალი გერმანელთა პოლკი სასწრაფოდ ამაგრებენ ანტვერპენსაო.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**, 7 ქრისტეშობისთვე. არტუაში ბუაზანაჰის ჩრდილოეთით ბრძოლა სწარმოებს ხელის სასროლი ყუმბარებით. ფეს რაიონში ფრანგთა არტილერია ესვრის მტრისას. მდ. ენის მარცხენა ნაპირზე, სადაც 3 ქრისტეშობისთვეს მოულოდნელი იერიშით ავიღეთ ხიდი, დღეს ისევ დავცალეთ. ნახევარ ასეული ქვეითი ჯარისა, რომელიც ამ ხიდის საყარაულოდ დავაყენეთ, მშვიდობიანად დაუბრუნდა ფრანგთა უკანა სანგრებს. ვერვში მორმარტისა და ლეპეტრის ტყეში ფრანგები მარჯვედ უშენენ ზარბაზნებს. ნომენისა და ბიონკურის სანგრებში საარტილერიო სროლაა.

**ᲰᲐᲕᲠᲘ**, 7 ქრისტეშობისთვე. გუშინ და დღეს სასტიკი საარტილერიო სროლა მძვინვარებს. ჩვენ ვუშენდით დენტორეიის ფრონტზე. მტერი გვიპასუხებდა ზარბაზნებით, რაიც ჩვენს უკან შეჯგუფებულ ჯარებს ეცემოდა.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ**, 7 ქრისტეშობისთვე. იპრის მახლობლად სასტიკი საარტილერიო სროლა მოხდა. მტერმა იერიში მოიტანა ხელით სასროლ ყუმბარებით, მაგრამ მოუგერიეთ. დღეს ოთხჯერ მოხდა საჰაერო ბრძოლა. გუშინ მტრის ორი აპარატი იძულებული გახდა თავიანთ ბანაკშივე ჩამოშვებულიყვნენ. ერთი ჩვენი ჰაეროპლანთაგანი არ დაბრუნებულა.

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ.**

**ფელდმარშალი ფუად-ფაშა.**

„Vossische Zeitung“-ში მოთავსებულია პროფესორ ლიუდვიგ შტეინის საუბარი ფელდმარშალ ფუად-ფაშასთან. ეს ფუად-ფაშა ამ მოკლე ხანში დაინიშნება ეგვიპტის წინააღმდეგ მოქმედ ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდლად. ფუად-ფაშას უთქვამს: ინგლისელების სტრატეგიული მდგომარეობა განსაცდელშია. ჩვენ ფეხდაფეხ ვდევთ მათ, სანამ ბაღდადის აღებაზე სამუდამოდ ხელს არ აიღებენ და გემებს არ მიაშურებენ. ჩვენს ხელში დავლად დარჩენილს ინგლისის გემებს, მათს წინააღმდეგვე გამოვიყენებთ. ეგვიპტეშიაც მეორე გალიპოლის ნახევარ კუნძულს შევქმნით მათთვის. სად დავიწყებთ მოქმედებას, ვერ გეტყვით, მაგრამ ყველაფერი გამზადებული გვაქვს, რომ ინგლისელებს მეტად საგრძნობ ადგილას დავცხოთ. გაზაფხულზე ისეთი სტრატეგიული მდგომარეობა შეიქმნება, რომ ჩვენი მოპირდაპირენი ზავის ჩამოგდებას მოითხოვენ; ცხადია ზავის პირობებს ჩვენ ვუკარნახებთ.

**ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲨᲘ.**

**მეფე ფერდინანდი ნიშში.**

ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ესტუმრა ნიშს, სოფიიდან ნიშში პირველად გასულ მატარებლით. მან 36 საათი დაჰყო სერბეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს სასახლეში. მთელის ამალით დაათვალიერა ის დარბაზი, სადაც სერბეთის სკუპშჩინას უკანასკნელი თათბირი ჰქონდ, დაათვალიერა აგრეთვე ის სახლი, სადაც ინახებოდა სერბეთის სახელმწიფო არქივი, რომელიც ბულგარებს დავლად დარჩათ.

**ფერდინანდი და ბატონიშვილი.**

მეფე ფერდინანდი და ბატონიშვილი კირილე მონასტირს ესტუმრნენ.

**საქონლის მატარებლები ბერლინიდან სტამბოლამდე.**

ბუდაპეშტის გაზეთების ცნობით, ამ თვის 7-დან ბერლინ-სტამბოლის შორის საქონლის მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. ამ თვის გასვლამდე

სტამბოლში ჩაიტანენ 10 ორთქლმავალს და 200 ვაგონს. ეს ვაგონები ოსმალეთს ომის დაწყებამდე ჰქონია შეკვეთილი გერმანეთში, ანატოლიის გზისათვის.

**მოკავშირენი სოლუნში.**

მოკავშირეთა ჯარი გამაგრდა კილინდირ-ყარასლუს ხაზზე. აქედან მოპირდაპირეს მოიგერიებს სოლუნის სიმაგრეებამდე. სოლუნის გამაგრებას რომ დაასრულებენ, მძიმე ზარბაზნებს დასდგამენ. სოლუნში მაშველი ჯარი მოჰყავთ.

**სპარსეთში.**

**კონსულების წასვლა ქერმანიდან.**

ინგლისისა და რუსეთის კონსულები ქერმანიდან წავიდნენ მენდერ-ამასში, რადგანაც გუბერნატორმა გააფრთხილა, თქვენი ხელშეუხებლობის პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებო.

**ყ უ მ შ ი.**

ყუმის კომიტეტი თეირანში მუქარას უთვლის შაჰს, თუ ოსმალეთ-გერმანეთს არ მიემხრობი, მთლად ჩამოგშორდებითო. ამ მუქარის წერილს ხელს აწერს სამღვდელოება და ვაჭრები.

**შ ი რ ა ზ შ ი.**

შირაზის მხარეში არსებული ინგლისის მთელი ახალშენის მცხოვრებნი თანღისტანის მთიულებს ტყვედა ჰყავთ. მათი ბელადი გერმანელი აგიტატორი ვასმუსი ყოფილა.

იეზდის ახალშენის თაობაზე არავითარი ცნობები არ მოდის, რადგანაც ტელეგრაფის მავთული მეამბოხეებს გადაუჭრიათ.

ისპაჰანსა, შირაზსა და იეზიდში ინგლისის ბანკის განყოფილებანი მეამბოხეებმა ჩაიგდეს ხელში.

**თ ე ი რ ა ნ შ ი.**

თეირანის მთავრობა ყოვლად უძლურია მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომელნიც გადაჭრით მოითხოვენ, ოსმალეთსა და გერმანეთს უნდა მიემხრაო. თეირანის მთავრობას ვეღარაფერი უწამებია.

ქუჩებში წმინდა ომინეს სახელით სცადეს მოწოდების გაკვრა, სადაც ინგლისელებისა და რუსების ამოწყვეტას მოითხოვდნენ. თეირანის მთავრობამ მოწოდებანი ყველგან აახევინა.

**შვეცია.**

**ელექტრონი რკინის გზაზე.**

შვეციის მთავრობას განუზრახავს რკინის გზის მთავარ ლიანდაგებზე ელექტრონით აწარმოვოს მატარებლების მიმოსვლა. შვეციის შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობს: ეხლანდელმა ომმა ნათლად დაამტკიცა, თუ რამდენად უიმედოა ქვანახშირზე დამყარება, როდესაც გადატან-გადმოტანაც საშინლად ფერხდებაო.

**გერმანელთა ჯარის მოძრაობა.**

„დეილი ტელეგრაფ"-ს როტტერდამიდან ატყობინებენ: გერმანელებს სამხრეთისა და დასავლეთის რკინის გზებით დიდძალი ჯარი გადაჰყავთ აღმოსავლეთის (რუსეთის ასპარეზისაკენ. ამ მხარეს მხოლოდ სამხედრო მატარებლები დადის. გერმანეთიდან ჰოლანდიაში ფოსტა და ჟურნალ-გაზეთები ხუთი-ექვსი დღით იგვიანებს. გერმანეთ-შვეიცარიის საზღვარი შეკრეს, რომ ჯარის მოძრაობა საიდუმლოდ დარჩეს.

რიგის ყურისაკენ ეზიდებიან აუარებელ მძიმე ზარბაზნებს.

**რუსეთის ასპარეზი.**

**საკურთხევლის დაწვა.**

როდესაც მიტავის ფერისცვალების დედათა მონასტერს მტერი მიუახლოვდა, მონასტრის დები ღამით შეყრილან ეკლესიაში და წირვის შემდეგ დაუწვიათ საკურთხეველი დ სამსხვერპლო. ამავე დროს განუსვენეს გალობდნენ თურმე.

**რიგის მიდამოებში.**

მდ. დვინის მარცხენა ნაპირას, რამდენიმე ათეულ ვერსის მანძილზე გერმანელებს დარჩენილი მცხოვრებნი სხვა ადგილებში გაუხიზნავთ, რომ ჯარის მოძრაობას მეთვალყურობა არავინ გაუწიოს.

**საომარი სამზადისი რიგასთან.**

„დეილი კრონიკელ"-ის აზრით, გერმანელები უმთავრეს ძალას რიგისაკენ მიჰმართავენ. აქეთ გადმოჰყავთ გერმანიიდან ლანდშტურმი და დვინსკის მიდამოებიდან ზარბაზნებს ეზიდებიან. გერმანელებს მოძრაობის გასაადვილებლად ამ მხარეში გაუმართავთ ხეტყის ქარხნები და გზები მორებით დაუგიათ.

**ბალტიის ზღვაზე.**

შვეციის გემებს თავისუფალ ნაოსნობის მოწმობა შვეციულ და გერმანულ ენაზე უწერიათ. როდესაც გემი ზღვაში გადის მოწმობა ეძლევა, რომ აკრძალული რამ არ მიაქვს, ეს ცნობა თურმე, შვეციის საბაჟოს სამმართველომ ბერლინში დეპეშით უნდა აცნობოს, ესა და ეს გემი ამა და ამ საქონლით დატვირთული ამა და ამ ნავთსადგურისკენ გაემართაო.

**ქ. მაგილევში.**

უმაღლეს მთავარსარდლის განკარგულებით მაგილევში მისვლის მსურველთ საგანგებო ნებართვა უნდა აიღონ ხოლმე.

# უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთში.**

ყუმის ეროვნული მთავრობა ქაშანს გაემგზავრა, საიდგანაც ისფაჰანს წავა.

**კიევის გუბერნიის გახიზნულნი რუსები.**

ვლადიმირ-ვილინის მაზრიდან 400 ათას მცხოვრებიდან 25 ათასი გახიზნულა, კოველის მაზრიდან 250 ათასიდან—180 ათასი გახიზნულა. დუბენის მაზრიდან 300 ათასიდან—150 ათასი. ლუცკის მაზრიდან 320 ათასიდან 130 ათასი.

**რუმინეთ-ბულგარეთის მოლაპარაკება.**

ბულგარეთი საგანგებო მინდობილებით დელეგატს ჰგზავნის რუმინეთში. მან უნდა მოაგვაროს რუმინეთის გზით ბულგარეთიდან ავსტრია-გერმანეთში და ამ ქვეყნებიდან ბულგარეთში საქონლის შეზიდვის საქმე.

**შეთქმულობა ტურინში.**

ტურინში გერმანელების მიერ მოწყობილი შეთქმულობა გამოამჟღავნეს. გერმანელებს განზრახვა ჰქონდათ ტურინში აეფეთქებინათ ის ქარხნები, სადაც იტალიისათვის საომარ მასალას ამზადებენ.

**რუმინეთში.**

ბუქარესტში დაატუსაღეს 4 უნგრელი, რომელთაც განუზრახავთ ბრატიანუს, იონესკუს და მათ მომხრეთა დახოცვა.

**ბულგარელები ადრიატიკში.**

ბულგარელებს ჯარი გაუგზავნიათ ადრიატიკში ტირანსა და ელბასანის გზით.

**გერმანელები საბერძნეთში.**

გერმანელები საბერძნეთის საზღვრებთან ჯარს თავს უყრიან, გზებსა და ხიდებს აკეთებენ და ამ ორ კვირაში საბერძნეთის მიჯნების გადალახვას აპირებენ.

**ბუკოვინაში.**

სერბეთიდან გერმანელები ბუკოვინაში ჰგზავნიან 5 დივიზიას.

**გერმანელების ახალი გეგმა.**

გერმანელთა მთავარი სამხედრო შტაბი ახალს გეგმას ადგენს რუსეთის ასპარეზზე საგაზაფხულო შემოტევისათვის.

გერმანელების ჯარი სოფიასა და რუშჩუკში შევიდა.

# ბრძოლის ველზე

**საბერძნეთის პოლიტიკა და სალონიკი.**

ენკენისთვის ოც-რიცხვებში სერბეთის მოწინააღმდეგე კოალიციამ სერბეთის ტერიტორიის საზღვრები გადალახეს. 22 ენკენისთვეს მაკენზენი და კევესი ჩრდილო აღმოსავლეთიდან და ჩრდილო დასავლეთიდან სერბეთისკენ. დაეშვენ. ბულგარეთის ჯარი ოც ენკენისთვიდან შემოაწვა სერბეთის აღმოსავლეთის საზღვარს. სწორედ ამ დროს, 22 ენკენისთვეს საბერძნეთის პირველი მინისტრი ვენიზელოსი, რომელიც საფრანგეთ-ინგლისის აშკარა მომხრე იყო და ცდილობდა საბერძნეთის იარაღის ბედი მათ იარაღის ბედზე დაეკავშირებინა, მეფე კონსტანტინეს სამონარქო ბრძანებით სამინისტროდან გავიდა და სურვილის წინააღმდეგ ჩამოშორდა საბერძნეთის პოლიტიკის მართვას. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ბ-ნი სკულუდისი, რომელიც მეფის პოლიტიკას იზიარებდა და აშკარად ემხრობოდა გერმანეთს. ეს უბრალო შემთხვევა არ იყო. ამ აქტით საბერძნეთის მეფემ კიდევ ერთხელ ცხად ჰყო, რომ ბალკანეთის ასპარეზზე ატეხილ ბრძოლაში, იგი ცენტრალ იმპერიებს ემხრობოდა. ვიდრე ბალკანეთის კუნძულზე აქტიური მოქმედება დაიწყებოდა, საბერძნეთი აიმედებდა სერბეთს და მათ შორის დადებულ ხელშეკრულობის პირმტკიცობაში არწმუნებდა სერბეთის მთავრობას, რის გამოც ეს უკანასკნელი არ დაერიდა ბულგარეთს აშლოდა და სადაო საკითხი მასთან იარაღით გადაეჭრა.

ბალკანეთზე აქტიურ მოქმედების დაწყებიდან, საბერძნეთს არ გადაუხვევია თავის გერმანოფილურ პოლიტიკისათვის. ბალკანეთის ბრძოლის ველზე გამოსულ მოპირდაპირეთა ძალთა რაოდენობა და მათი საერთო სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდგომარეობა ცხად ჰყოფდა, რომ გამარჯვება ბულგარეთისა და ავსტრო-გერმანეთის მხარეზე დარჩებოდა. ასეთ პირობებში ამ უკანასკნელ სახელმწიფოებისთვის პირველი დახმარება საბერძნეთის მხრივ იმაში მდგომარეობდა, რომ თავის ქცევით მათთვის სირთულე არ შეექმნა და გამარჯვების ნიშნები არ შეემცირებინა. ეს შეიძლებოდა სრულიად უწყინარ პოზიციის დაცვით, ურყევი ნეიტრალობის გამოცხადებით. საბერძნეთიც ისე მოიქცა. მიუხედავათ იმისა, რომ ღვინოზისთვის პირველ რიცხვებში საფრანგეთ-ინგლისს საბერძნეთს 30 მილიონის სესხის განაღდება შეპირდა, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთს აღუთქვეს აქტიურ დახმარებისათვის კუნძული კიპროსი, სმირნის ვილაეთი თრაკია და ბევრი სხვაც, საბერძნეთი არ დაყაბულდა. რომ მოკლედ მოეჭრა, საბერძნეთმა მოკავშირეებს კატეგორიულ პირობად წამოუყენა ოთხასი ათასი ჯარისკაცის ჩამოყვანა ბალკანეთში. ამ შემთხვევაში საბერძნეთი მათ სასარგებლოდ გაილაშქრებდა. ეს იყო ერთსა და იმავე დროს შეუძლებელის მოთხოვნა და ფაქტიურად გერმანეთის სასარგებლო ნეიტრალობის დაცვა და წარმოება. საბერძნეთს შეუდრეკლად მიჰყავდა თვისი პოლიტიკის ხაზი. სერბეთს არ მიეშველა, ხელშეკრულობა დაარღვია. ინგლისური პრესა, განსაკუთრებით „Westminster Gasette"-ი და „Pall-Mall Gazette"-ი, საფრანგეთის პრესა განსაკუთრებით „Matin"-ი, „Figaro" და „Gaulios", დაურღვეველის ფაქტებით ასაბუთებდნენ. საბერძნეთის მუხთლობას სერბეთის მიმართ.

არ გასჭრა საფრანგეთის ამაგმა. საბერძნეთის არმია საფრანგეთის არმიის მოედანზე იწვრთნებოდა. ამ ოთხიოდე წლის წინად ფრანგი გენერალი ეიდუ სამხედრო მისიით ათინაში იყო გაგზავნილი, არტილერიაც ფრანგებისა იყო. საფრანგეთის საზოგადოება საერთოდ საბერძნეთს მეგობრობდა. როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, ყოველიფერი ეს როგორც მოსალოდნელი იყო უმნიშვნელო შეიქმნა. საბერძნეთი გერმანეთის მხარეზე იყო. ოფიციალად ნეიტრალობის დამცველი საბერძნეთი, ფაქტიურად გერმანეთს შველოდა. ჩვენ ვიცით შეთანხმებისა და ნეიტრალ სახელმწიფოთა ცნობებიდან, რომ საბერძნეთმა ბაზა გაუწყო გერმანელთა წყალქვეშა ნავებს, კრიტოსის და კორფუს კუნძულებთან, რომ გერმანელი ინჟინრები უმავთულო ტელეგრაფის სადგურებს აგებდენ საბერძნეთის ტერიტორიაზე, წყალქვეშა ნავებისთვის ნიშნის მისაცემად, ვიცით რომ საბერძნეთის მთავრობა სამხედრო ავტომობილებს სთავაზობდა გერმანელ აფიცრებს, რომ მან დაითხოვა პარლამენტი, როდესაც მან მხარი არ დაუჭირა სკულუდისის აშკარა გერმანოფილურ სამინისტროს და რომ არჩევნები ორი-სამი თვით გადადო, დაახლოვებით იმ დრომდე, ვიდრე წინასწარის ვარაუდით სავსებით გამორკვეული იქნებოდა სერბეთის ასპარეზზე მებრძოლთა ბედი და საბერძნეთის ხალხი არ წარსდგებოდა ისეთ „Fait accomplis" წინაშე, როდესაც მას ყოველგვარი საბუთი წართმეული ექნებოდა რითიმე გაემართლებინა საფრანგეთ-ინგლისის იარაღის ასხმა. ასეც მოხდა. ბალკანეთის ფრონტზე გამარჯვება დარჩა ბულგარეთს და ცენტრალ იმპერიებს და გადარჩენილი მოპირდაპირენი ისეთ საიმედო ძლიერებას დღეს-დღეობით არ წარმოადგენენ, რომ საბერძნეთის ხალხმა გონების სრულს სისაღეში მათ საშველად თავი გაიმეტოს.

არჩევნები ასეთს პირობებში ხდება. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ საბერძნეთი თავის თანხმობას საფრანგეთ-ინგლისთან, რომელიმე საშურ საკითხის შესახებ, აგვიანებს და მაშინ ამბობს, როდესაც ამ თანხმობას დაკარგული აქვს მთელი მნიშვნელობა. რკინის გზებით სარგებლობის უფლება, რომელიც საბერძნეთმა მოკავშირეებს მიანიჭა ამ ცხრა-ათი დღის წინად, მოხდა მაშინ, როდესაც ეს უფლება არავითარ ფაქტიურ მნიშვნელობას არ წარმოადგენდა. საბერძნეთს რომ სწორედ მაშინ დაერთო დასტური იმ რკინის გზის ლიანდაგით სარგებლობისა, რომელიც სალონიკიდან, ფლორინითა და ოსტროვოთი მონასტირში მიდის და რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვდენ ინგლის-საფრანგეთის მთავრობები, ეჭვი არაა მოკავშირენი მაკედონიის სამხედრო კომპანიას სტრუმიცისაკენ გალაშქრებით კი არ დაიწყებდენ, როგორც ეს ამ ორი წლის წინად თვით საბერძნეთის არმიას დასჭირდა, არამედ აქ ისინი დაკმაყოფილდებოდნენ შემკავებელი ჯარის დაყენებით და სიმაგრეების აგებით და თავიანთ მთავარ ძალას რკინის გზით მონასტირისაკენ გაგზავნიდენ რომ უკუდამხევ სერბეთის ჯარს მონასტირში მიჰგებებოდნენ; ჩვენ ვიცით აგრეთვე, ვითომც სხვა და სხვა ტეხნიკურ სიძნელის მიზეზით საბერძნეთმა რომ მოკავშირეები დააგვიან სერბების საშველად.

საბერძნეთის მთავრობის მთელი ამ სამი თვის საქციელი აშკარად ამტკიცებს, რომ იგი სულით და გულით მონდომებულია გერმანეთს დაეხმაროს. ოფიციალად და სიტყვიერად შეთანხმების სახელმწიფოებს მეგობრობას ეფიცება. არა-ოფიციალად და ფაქტიურად ცენტრალ იმპერიების საქმეს. ამიტომ საბერძნეთის რწმუნება და სიტყვები დასაჯერებელი არ არის. საბერძნეთის ტერიტორიაზე ბულგარეთისა და ავსტრო-გერმანეთის ჯარის შესევის წინააღმდეგ ვერაფერს ვერ იტყვის, მით უმეტეს რომ საფრანგეთ-ინგლისის შეიარაღებული ძალა უკვე მის ტერიტორიაზე დგას, ხოლო ამ გარემოებით ნეიტრალობა უკვე დარღვეულია. ამისთვის ბულგარეთის ჯარის დროებით შეჩერება საბერძნეთის საზღვარზე, რამოდენიმეთ შეიძლება გამოწვეული იყოს სერბეთის გასაყოფი ადგილების შევაჭრებით, როცა გერმანეთის ჩარევის წყალობით, ხანდაუზმელად გადაჭრილი იქნება,—და არა პრინციპიული უთანხმოებით და საფრანგეთ-ინგლისის დახმარების მოსაზრებით. სალონიკის ირგვლივ გამაგრებულ საფრანგეთ-ინგლისის ჯარს საბერძნეთის შველის იმედი არამც და არამც არ უნდა ჰქონდეს, პირიქით, თუ ბულგარეთმა საარტილერიო ცეცხლი მიაყენა გამაგრებულ სადესანტო ჯარს, შეიძლება საბერძნეთმა პირველი მუგუზალი შეუკეთოს; ამნაირად შესაძლებელია სალონიკის ასპარეზი ერთობ ძვირად დაუსვას საფრანგეთსა და ინგლისს საბერძნეთის ორპიროვნულმა პოლიტიკამ.

---

საფრანგეთის ფრონტზე სამხედრო ოპერაცია თან და თან ღვივდება. ნეიტრალ სახელმწიფოთა ცნობების მიხედვით გერმანელებს აქეთკენ ჯარები გადმოყავთ. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გვაუწყებს, რომ იპრთან გერმანელებს არტილერიის ძლიერი სროლა აუტეხიათ და თანაც მკაცრი იერიშები მიუტანიათ. მაგრამ ინგლისელებს ეს იერიშები მოუგერებიათ.

---

გერმანეთ-რუსეთის ფრონტზე არავითარი საყურადღებო შეტაკება, თუ ჯართა მოძრაობა, არ მომხდარა.

---

კავკასიის ფრონტზე არაფერი შეცვლილა.

**მეგრი.**

## თბილისი, 10 ქრისტეშობისთვე.

**საარჩევნო ბრძოლის პირველი ეტაპი.** თბილისის საარჩევნო უბანთა რიცხვი ძველებურად შვიდი დარჩა. არც ქალაქის თვითმართველობამ შეიწყნარა ა არც უმაღლესმა ადგილობრივმა მთავრობამ ის სამართლიანი მოთხოვნა, რომ საარჩევნო უბანთა რიცხვი გაგრძელებულიყო და თბილისში მცხოვრებ თითეულ ეროვნულ ერთეულს საშუალება მისცემოდა იმდენი წარმომადგენელი ჰყოლოდა ქალაქის თვითმართველობაში, რამდენიც, პროცენტის მიხედვით, უნდა ჰრგებიყო მის ნამდვილ რაოდენობას. ამ უბრალო და სამართლიან რეფორმაზე უარი სთქვეს.

დარჩა ისევ ძველი რეჟიმი და ძველი უსამართლობა... საარჩევნო წესისა და კანონის სახით წინდაწინ შექმნილია ისეთი პირობები, სადაც ქართველ ამომრჩეველთა რიცხვი ზოგ უბანში ძალაუნებურად აითქვიფება და გაბათილებული იქნება, სომეხთა უმნიშვნელო უმრავლესობისაგან. ხელოვნურად შექმნილი ძალ-მომრეობის პრინციპი წინდაწინვე ზღუდავს ჩვენს გასაქანს და გამარჯვების შანსებს. ეს აშკარაა. ამ გარემოებამ გული არ უნდა აგვიცრუოს მომავალ საქალაქო არჩევნებზე, პირაქეთ, მეტი ენერგია და ხალისი უნდა შევვმატოს საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

ქართველი ამომრჩევლები უნდა მტკიცედ შეაკავშიროსდ დარაზმოს ერთ ამომრჩეველ რაზმად იმ გარემოებამ რომ ქალაქის თვითმართველობის დროებითი ბატონები ანტიქართულ პოლიტიკას ადგანან და ცდილობენ საქართველოს დედა ქალაქში ქართველების გავლენისა და ხმის გაბათილებით ქართველთა საერთო შეცენტრების საქმეს ხელ-ფეხი შეუკრან. ამ ანტიქართულ პოლიტიკას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ აშკარათ ქართული პოლიტიკა, ქართველ ამომრჩეველთა გაუტეხელი ერთობა და ერთი მტკიცე ორგანიზაცია. ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პარტიულ გათიშვასა და კინკლაობას. ამ შემთხვევაში უნდა ვიკმაროთ ის, რომ ქართველები ვართ და რომ ქართული საქმე არა ქართული ელემენტებისაგან შეფერხებას და დევნას განიცდის.

პირველი და აუცილებელი პირობა საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად და ერთი საარჩევნო ორგანიზაციის შესადგენად და შიგ შესასვლელად,—საარჩევნო ხმის უფლება გახლავთ. ამისთვის უწინარეს ყოვლისა **ყოველმა ქართველმა ამომრჩეველმა ამ თვის ხუთმეტამდე უსათუოდ უნდა გადაიხადოს მის მამულზე დარჩენილი ქალაქის ვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საარჩევნო უფლებას დაჰკარგავს.**

რამდენად პირნათლად შესრულებს ქართველი ამომრჩეველი საარჩევნო მოქმედების ამ პირველ აქტს, იმდენად საბოლოო გამარჯვების მეტი შანსი გვექნება, თუნდაც ამ დღევანდელს ყოვლად შეუწყნარებელ საარჩევნო წესის ფარგლებში.

# რუსული პრესა

მოსკოვში მომხდარ არეულობის თაობაზე საგანგებო რევიზია იყო დანიშნული სენატორ კრაშენიკოვის თაოსნობით. როგორც ირკვევა თითქმის ყველა დაზარალებულთ წარუდგენიათ საჩივარი სენატში მთავრობის მოხელეების წინააღმდეგ. გაზეთი „ბირჟევია ვედ." ამ საკითხს ეხება და ამბობს:

იმაზედ მეტს, რაც სენატორ კრაშენიკოვმა აღმოაჩინა რევიზიის დროს, ახალი აღარაფერი უთქვამს ვისმეს. რევიზიამ ყველასათვის ცხად ჰყო, რომ დამნაშავე მართლაც მთავრობის მოხელენი ყოფილან. უკანასკნელნი იმითღა იმართლებენ თავს, რომ არეულობის დროს დამნაშავენი და წინამძღოლნი მთვრალები იყვნენო. მათ აღარ ახსოვს ვისა სცემდნენ, ვინ მოჰკლეს და ან ვისი ქონება გაანიავესო.

საყურადღებოა მოსკოვის არეულობა მეორე მხრივაც. ეს სისაძაგლე მოხდა არა მაშინ როდესაც მოსკოვი პოლიტიკურ აღფრთოვანებას განიცდიდა. მთელი რუსეთის საზოგადოების სურვილების განცხადებამ ყრილობაზეც არ გამოიწვია ეს „პოგრომი" სამაგიეროდ საკვირველი ერთსულოვნებით და სიმშვიდით შეხვდა მთელი რუსეთი ყრილობებზე რეზოლიუციებს. მოსკოვის არეულობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ყრილობებზედ მომხდარ ამბებთან და ჩვენც არ გვესმის, რათ დასჭირდა მინისტრს, რომ მოსკოვში აკრძალა საზოგადო ყრილობების გამართვა ამ ზამთარს და ან რა საბუთით ამცნო ყველას, პოლიტიკური ატმოსფერა, რომელიც ამ დედაქალაქში შესაძლებლად ხდის ყოველგვარ მოულოდნელ ამბების გამეორებასო".

გაზეთი ჰფიქრობს, რომ აქ უსათუოდ სულ სხვა მიზეზით ხელმძღვანელობენ. ამასვე ამტკიცებს ის ცნობებიც, რომელიც სენატორმა კრაშენიკოვმა გამოაქვეყნაო.

# ნარკვევი

ხანგრძლივი, გამუდმებითი ომი მხოლოდ ხარჯს, ჯარებს ნივთიერ უზრუნველ ყოფას როდი მოითხოვს. მარტო ეს არ კმარა, რომ იგი გამარჯვებით და ხელსაყრელად დამთავრდეს; უმთავრესად საჭიროა, რომ იმ ხალხს, რომელიც მსოფლიო ომშია ჩაბმული, შერჩეს სულის სიძლიერე, შერჩეს რწმენა და უდრეკი მტკიცე ხასიათი. ამის თაობაზე ა. სტრუვე სწერს:

ერთად-ერთი საფრთხე, რომელიც ჩვენ მოგველის და რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ, არის ხალხის სულიერად დაცემა და გამარჯვების იმედის დაკარგვა. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ სხვა და სხვა წრეებში. მის ნაცვლად ჩვენში უკვე ფეხს იკიდებს გაბოროტება და ეჭვიანობა. მემარჯვენეთა ყრილობამ ხელი შეუწყო ხალხის გაბოროტების გაღრმავებას. ცხადია ვერ გრძნობენ ზოგიერთი მყვირალა პოლიტიკანები, თუ რა საშინელ სენსა ჰფენავენ ჩვენ ხალხში. ჩვენი ხსნა, სამშობლოს განსაცდელისაგან გამოსვლა მხოლოდ ჩვენ რწმენაშია. უნდა ვეცადოთ, ვიმუშაოთ მარტო იმისათვის, რომ გაღრმავდეს ეს რწმენა რწმენა ერთად ერთი საძირკველია, რომელსაც შეუძლიან აღადგინოს მკვიდრი საზოგადოებრივი სახელმწიფო მექანიზმი.

# ახალი ამბავი

[library stamp]

✦ **თბილისში ჩამოვიდა** სასანიტარო და საევაკუაციო მთავარ უფროსის პრინც ოლდენბურგის რწმუნებული პრივატ-დოცენტი ბ-ნი შიროკოგოროვი, რომელსაც დავალებული აქვს ეპიდემიურ ავადმყოფობის საკითხის გაცნობა კავკასიის ფრონტზე. ბ-ნი შიროკოგოროვი ინახულა ქალაქის მოურავმა ბ. ხატისოვმა, ექიმ შ. მიქელაძის, ს. სტეფანოვის და გამგეობის წევრის არღუთაშვილის-მხარგრძელის თანხლებით გუშინ დაათვალიერა მე-40-ე და განსანაწილებელი ჰოსპიტლები.

✦ **საჩუქრები მხედართათვის.** კავკასიის ქალაქთა კავშირის რწმუნებულმა აცნობა ბაქოს ქალაქის თავს, რომ იმ თანხით რომელიც ბაქოში შეგროვდა იქვე იყიდონ საჩუქრები და ენზელის გზით გაგზავნონ ჯარში. თბილისიდან კი ბათუმ სარაყამიშით იქნება გაგზავნილი საჩუქრებიო.

✦ **არჩევნების გამო.** ქალაქის ყველა დაწესებულებათ დაევალათ შედგენა ანგარიშების თავის მოქმედების შესახებ ომამდის და ამ ომის დროს. ეს ანგარიშები უნდა წარედგინოს ახალ ხმოსანთა შემადგენელობას.

✦ **ბ-ნ ჟურულის მოხსენება.** ქალაქის გამგეობის წევრმა შეადგინა ვრცელი მოხსენება ქალაქის ფინანსების მდგომარეობის შესახებ. მთავრობის დაწესებულებებზე როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს 2 მილიონზე მეტი გადასახადია დარჩენილი. ბ-ნი ჟურული მოხსენებაში ამტკიცებს ქალაქს სესხის აღების თავი არა აქვს და საჭიროა მის ნაცვლად ეს ვალი გავანაღდოთო. ეს მოხსენება წარედგინება უმაღლეს მთავრობას დასაკმაყოფილებლად.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას** ბათომის განყოფილებისაგან მოხსენება მოუვიდა, საზოგადოებამ აჭარაში ქალთათვისაც გახსნას საავადმყოფოები და მოსამსახურეები ქალები უნდა იყვნენო.

✦ **თბილისის გუბერნატორად,** როგორც ხმები დადის ინიშნება ბაქოს ვიცე გუბერნატორი ბ-ნი ალიშევსკი, თბილისი ვიცე გუბერნატორად ნამყოფი.

✦ **არჩევნების გამო.** ქალაქის ბუხგალტერია ადგენს უკვე სიებს ვისა აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

✦ **ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებთა განხილვა.** პატივცემულ მკვლევარს საქართველოს სიტყვა-კაზმულ მწერლობისა ბ-ნ იპოლიტე ვართაგავას დაუმთავრებია კრიტიკული მიმოხილვა დამსახურებულ ბელეტრისტის სოფრომ მგალობლიშვილისა ამ სათაურით: „სოფელი და სოფლელები სოფრომ მგალობლიშვილი მოთხრობებში. ამ ნაშრომს ბ-ნი ვართაგავა ცალკე ლექციად აპირებს წაკითხვას საქართველოს კულტურის მოყვარე საზოგადოებაში და შემდეგ დასტამბულ იქნება ჩვენ გაზეთში მთლიანად.

✦ **სესხი.** საადგილ-მამულო კომისიამ წარსულ სამშაბათის კრებაზე გადასწყვიტა: მიეცეს სესხის სახით ახლად დაარსებულ მომხმარებელ საზოგადოებას „მეურნე"-ს ხუთასი თუმანი.

✦ **სურსათი.** 7 ქრისტეშობისთვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 52 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., მარილი 1 ვაგ., კარტოფილი 6 ვაგ., შეშა 38 ვაგ., ნავთი 3 ვაგ., მაზუთი 15 ვაგონი.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება მოხდება კვირას, 13 ამა თვეს, დილის 11 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

✦ **ვაჟა-ფშაველას საღამო,** რომელიც ხარფუხის კლუბში 10 დეკემბერს უნდა გამართულიყო, 12 დეკემბრისთვის გადაიდო (შაბათი), რადგანაც მამასახლისთა საბჭოს გურიიდან მოუწვევია საღამოზე დასასწრებლად იქაური მომღერალთა გუნდი და ეს უკანასკნელი 10 დეკემბრისთვის ვერ მოახერხებს ჩამოსვლას.

✦ **სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების** წევრთა კრება დანიშნულია კვირას, 13 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე, სახალხო სახლის დარბაზში.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების.** წევრთა წლიური კრების გაგრძელება მოხდება შაბათს, 12 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, თავადაზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში. განსახილველია მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

**ქუთაისი.**

ამ დღეებში ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა და რამდენიმე ექიმმა დაათვალიერა წყალტუბოს სამკურნალო წყაროები, როგორც გავიგეთ, ხსნე-

ბული საქართველოს წლების მთავრობის ხელში გადადის. ეს მოვლენა სამწუხაროა უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ქართველებს უფრო ადრე ხელიდან გავიდა.

— ამ დღეებში ქალაქის თეატრის სცენაზე ერთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. რუსეთიდან ... „ვიცეგუბერნატორმა“ სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ სტუდენტებს. სტუდენტებმა დაცვას ... გამოიტანეს, რომ „გუბერნატორის“ პრესის საშუალებით ... ვონ.

დ. ხონი.

კვირას, 6 ამ თვეს ხონის პროგიმნაზიის შენობაში გაიმართა „სალიტერატურო დილა“. ხალხი ბლომად დაესწრო.

— ამას წინად მოხდა კრება მარიამის სასწავლებლის პროგიმნაზიად გადაკეთების. კრებამ ეს წინადადება უარყო.

რუისპირი (თელ. მაზ.)

— ს. რუისპირში 2 ქრისტიშობისთვეს დილით ზ. დავდოვის მეზვრეს რაფ შეიარაღებული ყაჩაღი ესტუმრა. ახალგაზრდა ქვევრები, შემოუსხდნენ გარშემო და გაიგეს ქეიფი, შემდეგ ... დასაძინებლად. ... ვრემ, გამოვიდა გარეთ გადუკეტა კარები და მამასახლისს აცნობა, რომელმაც მაშინვე ცხენით კაცი აფრინა მაზრის უფროსთან.

მაზრის უფროსი თორმეტი ჩაფრით და ბოქაულით ჩამოვიდნენ ზემოხსენებულ მარანში, მაგრამ ყაჩაღების ბადლათ ორი ხბო დახვდათ იქ. ის-კი გაუგებელი დარჩა ან ვინ გაუღო მარნის კარები და ან კიდევ ვინ შერეკა შიგ ხბოები. ბევრი სძებნეს ახლო-მახლო, მაგრამ იმათი ასავალ-დასავალი ვერაფერი გაიგეს.

ქ. თელავი.

საპედაგოგიო კურსები, რომელიც სამოქალაქო სასწავლებელთან არსებობდა თბილისში გადაიტანეს.

— ამ თვეს თელავის კლუბის დარბაზში გაიმართა გასართობი საღამო თელ. სამოქ. სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. მიზანი სიმპატიური იყო, მაგრამ საზოგადოება ძლიერ ნაკლები დაესწრო, მოქალაქეები სრულებით არა სჩანდნენ.

— 8 ამ თვეს თელავში თბილისის ოლქის სასამართლოს სესიის სხდომები დაიწყო.

— თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწემ თავ. ი. ი. ჯანდიერმა ამ თანამდებობას თავი დაანება.

# საზ. „მეურნის“ საყურადღებოდ

როგორც გავიგეთ მომავალ წლის 1 იანვრიდან მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“ მოქმედების დაწყებას აპირობს. თუმცა წევრები ჯერჯერობით არც ისე ბლომად ჩაწერილან როგორაც ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. საჭიროა საქმის დაწყება, საზოგადოების მაღაზიების გახსნა და დარწმუნებული ვართ თბილისის ქართველობაც საზ. „მეურნი“-ს დიდ საქმეს ენერგიულად მხარს დაუჭერს. რომ ასეთ ორგანიზაციას ქართველი საზოგაოოება თბილისისა მეტად საჭიროებს, გავიხსენოთ თუნდაც ის გარემოება, რომ „თბილისის კოოპერატივში“ ბევრი ქართველობა ჩაწერილა.

მთავარი საკითხი ისაა, „მეურნის“ გახსნილი მაღაზიები ისეთ რაიონებში ...ოეწყოს, სადაც უმრავლესად ქართ...ველობა მოსახლეობს. მართალია პირ...ველ დროისთვის ძნელი იქნება რა...დენიმე მაღაზიის ერთბაშად გახსნა, ...აგრამ **ორის გახსნა** კი აუცილებე...ლია. ერთისა ქალაქის შუაგულ ად...ილში (როგორც თვით გამგეობა აპი...რებს, „ქართლის“ გვერდით) მეორისა ... პირველ ხანებში ოლღის ქუჩაზე ...წენეთის ქუჩის დასაწყისში), სადაც ...ავალი ქართველობა სცხოვრობს. ...ლღის ქუჩის განყოფილების გახსნას ...ზოგადოება არ უნდა შეუშინდეს, ...დგან პირველ თვეშივე ამ განყოფი...ების ხარჯი ასკეცად დაუბრუნდება. ...ორე და მესამე თვეს, საზოგადოების ...ძლიერების მიხედვით, ასეთივე გან...ყოფილებები შესაძლო იქნება გაიხს...ნ ნაძალადევში, კუკიაში, ავლაბარ..., მთაწმინდაში და სხვა. აუცილე...ლია მარტო პირველი პრაქტიკული ...ბიჯი სწორი, აწონილ-დაწონილი და ...რთველ მომხმარებლის ინტერესების ...ცველი იყოს. მაგალითად თუ „მე...ურნის“ მაღაზია მარტო „ქართლის“ ...ერდზედ გაიხსნა და სხვაგან არსად, ...წყებიდანვე მრავალ ქართველობას ...ოიშორებს და ასეთ გაჭირვების ...ვებში ვერაფერ დახმარებას გაუ...ს. დღევანდელ დღეს საჭიროა მე-

ტი გაბედულობა, მხნეობა და, თუ გნებავთ, „რისკიც“. ფართედ, ალღოს ალებით და ერთგვარ სიძლიერით დაწყებული საქმე მხოლოდ მოიგებს. კუს ნაბიჯით სვლა ასეთ ორგანიზაციებისათვის დღევანდელ თვალსაჩინო და შესაფერ დროს დიდ დანაშაულად ჩაგვეთვლება.

კოოპერატორი ვ.

# უპასუხობა

I.

ქართველი საზოგადოების ყურადღება მუდამ ლიტერატურისა და თეორიებისაკენ იყო მიქცეული, რადგან თვით რეალი ცხოვრების მაჯის ცემა სუსტი და ღარიბი შინაარსისა გახლდათ. როდესაც სამოციან წლებში ასპარეზზედ გამოვიდნენ ჩვენი მოღვაწენი, ძველი კულტურა, შემოქმედება, ეკონომიური წყობილება შერყეული იყო, ხოლო ევროპის ახალი ინტენსიური სულიერ-ეკონომიური კულტურა ჩვენში ჯერ კიდევ ვერ შემოსულიყო და ფეხი ვერ მოეკიდნა. საქართველოს ცხოვრება ყოველმხრივ მოდუნებული იყო და დიდი უნარის გამჭრიახობის და ეროვნული შემეცნების გამოჩენა დასჭირდათ ჩვენს ბუმბერაზებს რომ საზოგადოების მთავარი ყურადღება განათლებასა და ეროვნულ გრძნობის გამოღვიძებაზედ მიექციათ. მაგრამ ჩვენში ყოველგვარი ცალმხრივობა გამეფდება ხოლმე, რადგან რეალი შემკავებელი ნიადაგი არა გვაქვს, რომელიც ანელებდეს ოცნებას და გვასწავლიდეს ყოველმხრივ სიფხიზლეს. დაიწყო ეპოქა ლიტერატურისა, ლექსთ-წყობისა და სიმღერისა, როდესაც რაიმე რეალი ცხოვრების ღირებულების შექმნა მეწვრილმანეობად ითვლებოდა. ვაჭრობა, მრეწველობა, მეურნეობა—ყველა ეს მეორე ხარისხის და ბევრჯელ სასირცხვილო საგნადაც იქმნა გამოცხადებული. სახელწოდება „ნიჭიერი, ჭკვიანი“, მარტო მელექსეებს თუ ხვდებოდათ წილად, თორემ დანარჩენი ყველა უკან იყო დაყენებული. დღესაც ბევრია ასეთი ელემენტი და ამით აიხსნება, რომ დღესაც ჩვენს საზოგადოებაში პატივსაცემია მარტო ლიტერატორი და „მეგაზეთე“; დღესაც მარტო მას იცნობენ ბევრგან და მას აფასებენ. ლიტერატურა-მელექსეობას მოჰყვა პარტიობა და აქაც იჩინა თავი თეორეტიკოსობამ, ოცნებამ, რადგან ოცნების შემზღუდავი რეალი ნიადაგი საკმარისად მომზადებული არ იყო. მთელი ქვეყანა აივსო სოციალისტებით, პროლეტარიატის მოტრფიალეებით, როდესაც თვით პროლეტარი და მისი ექსპლუატატორი სანთლით საძებარი იყო და არის დღესაც. ქართველ საზოგადოებას პირზე წააკერეს „ავტონომია“, როდესაც ნაბიჯიც არავის გადაედგა ამ ცარიელი სურვილის ფეხმოსამაგრებლად. ფედერალისტები და სოციალდემოკრატები გაალმასებულნი ებრძოდნენ ერთმანეთს და დღესაც განაგრძობენ: ავტონომია პროგრესიული თუ რეგრესიული ცნებაა და ამავე დროს კი თვით მათგან განსაზღვრულ საზღვრებს ჩვენი ქვეყნისას ეპატრონებოდნენ და ეპატრონებიან უცხოელები.

ასეთი მდგომარეობა, როდესაც ხალხის მოწინავე ელემენტები მუდამ გართულნი არიან საოცნებო კოშკების აგებით და განყენებულის მსჯელობის კილოკავებით, საუბედუროდ დღესაც გრძელდება ინერციის ძალით და ისინი დაშორებულნი რჩებიან ხალხზედ, რომლებიც ერთად ერთი რეალი ძალაა ყოველგვარ თეორიების განმახორციელებელი და გამბათილებელიც. ჩვენი ხალხი, როგორც ყველგან ქვეყანაზედ, მჭიდროდ არის შეკავშირებული მიწასთან, მის ნაწარმოებთან და საზოგადოთ რეალ საგანთა ღირებულებასთან, ამიტომ მისთვის ძნელად მისახვედრია მოწინავე საზოგადოების უსაქმური ლაყბობა და საგაზეთო აზროვნება; იგი მსჯელობს უფრო რეალ ცნებათა გრაგნილით და ყოველ აზრს მარტო მაშინა აქვს მისთვის ფასი, როდესაც იგი რაიმე პრაქტიკულ საქმეში ხორცშესხმული გამოცხადდება. ქართულს სინამდვილეში ეს უბრალო ჭეშმარიტება მეტად ძნელად იკიდებს ფეხს, თუმცა არ არის ჩვენში არც ერთი მოღვაწე, არც ერთი ჯგუფი ან პარტია, რომელიც გულში ცემით და დაჟინებით არ ავრცელებდეს თავის აზრებს—ხალხის სახელით და ხალხის ინტერესების ქომაგობით. მაგრამ როდესაც ვინმე მიუახლოვდება ხალხს და მისი პრაქტიკული ენით დაიწყებს ლაპარაკს—ყველანი მეწვრილმანეობას დასწამებენ და სხვა ათას ამგვარ ცოდვებს თავზე მოახვევენ. ესევე მოგვივიდა ჩვენცა, როდესაც ამ სამიოდე წლის წინად გავბედეთ მეოცნებეთა წინააღმდეგ გამოსვლა ჩვენი რეალისტური, პრაქტიკულ-ეროვნული პროგრამით. ეს დევნა დღემდისაც არ შეჩერებულა, თუმცა თვით ცხოვრებამ დაგვანახვა და მსოფლიო ომმაც ნამეტნავად განამტკიცა ის აზრი, რომ მხოლოდ რეალ ინტერესებსა აქვთ ღირებულება ეროვნების ფიზიკურ დაცვაში, მხოლოდ მჭიდრო ორგანიზაციულ და პრაქტიკულ შეჯგუფებაშია ის ძალა, რომელიც დაიცავს განადგურებისაგან მთელ ერსა.

ჩვენ თავგამეტებულ პროპაგანდას სიტყვით, საქმით თუ კალმით, რასაკვირველია არ მოუტანია ჯერჯერობით ღირსეული ნაყოფი, ვინაიდან მეტად სქელ ჯანყად ჰქონდა შემოხვეული ჩვენს ცხოვრებას სოციალისტთა აზროვნება, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, თვით ცხოვრების პირობანი იმდენად შეიცვალნენ, ისე მძაფრად წარმოსდგა „გარეშე საქმეთა“ საკითხი და მისი სახიფათო ხასიათი, რომ შინაგანი ორგანიზაციის და რეალ ნიადაგზე შედგომის აუცილებლობა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. ჩვენ არ ვეკუთვნით იმ „თავმომწონეთა“ ჯგუფს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ცხოვრება მათი რიხიანი წერილების მიხედვით ლაგდება კალაპოტში; ჩვენ რაც ძალი და ღონე შეგვწევს, ხელს უწყობთ საზოგადოების და ხალხის დაახლოვებას სიტყვით და საქმით, რასაც ფრანგები ეძახიან „propagande par le fait“. ეკონომიურ ორგანიზაციების ძებნა, მათი შეკავშირება, ხელმძღვანელობა გაცილებით მეტ ენერგიასა და ჯაფას მოითხოვს, ვიდრე განყენებული მსჯელობა პოლიტიკასა და სოციალოგიაზედ, მაგრამ სამაგიეროდ შედეგები პირველს უფრო მკვიდრი და ხალხისათვის საჭირო მოსდევს, ვიდრე მეორეს. რომელიმე კოოპერატივის დაარსება, არ იწვევს, რასაკვირველია ისეთ აპილპილებას და განგაშს, როგორც მაგალითად ლამაზი სიტყვების ლექცია, ან პოლიტიკური დეკლარაცია, მაგრამ იგი ცხოვრების ძირში რჩება და ხალხის გონებას შეუდუღდება ხოლმე, მაშინ როდესაც სიტყვიერება საზოგადოების ზედაპირზედვე ჩაქრება ხოლმე, როგორც წყლის პირის ლამაზი რკალები.

რ. გ.

(შემდეგი იქნება)

# სოფლის ჭირ-ვარამი

(წერილი მერვე)

**დღეობა, ქელეხი და ქორწილი**

ყოველგვარ ჩვეულებას, წესსა და ადათს, რომელსაც ესა თუ ის ხალხი მისდევს, თავისი ისტორია აქვს.

ისტორიას კი აქვს თავისი კანონები, რომელთა შემუშავებაში და განმტკიცებაში წილი უძევს ერთის მხრივ ადამიანის ბუნებას, მის მოთხოვნილებას და მეორეს მხრივ ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა საჭიროებას.

უბრალოდ, ერთი ხელის მოსმით, ერთი ან ორი ინდივიდუმის სურვილით არა ხდება რა დედამიწაზე. ხალხის ამა თუ იმ ჩვეულების, ან ადათის განმტკიცებას, დაწესებას მოითხოვდა არა ერთი, ან ორი წევრი საზოგადოებისა, არამედ საზოგადოების ცხოვრება, დროთა-ვითარება და სანამ ეს ცხოვრება, ეს ვითარება არ შეიცვლება, სანამ ერთი ჩვეულება მეორეს არ შესცვლის, ახალი ძველს არ დაჩრდილავს და არ გააქარწყლებს, მანამდის ხალხი მტკიცედ ადგია თავის ადათებს და, ვიმეორებ, ერთი ხელის მოსმით მათი მოსპობა შეუძლებელია.

ხალხის უკანასკნელ მოძრაობის დროს და დღესაც, თუ სოფლის ცხოვრებას თვალს ადევნებთ, გლეხის ზოგიერთა კეთილისმსურველს (ამ სიტყვას ფრჩხილებში არა ვსვამ, რადგან დარწმუნებული ვარ მათ გულწრფელობაში) უჩიჩინებს და ძალას ატანს გლეხს, მოსპოს სოფლად დღეობები, ქელეხები და ქორწილები.

„ისედაც გაჭირებულ გლეხს ეს ჩვეულებანი მძიმე ტვირთად აწვება კისერზე, რადგანაც მათ დიდი ხარჯი მოსდევსო და თან არა სასიამოვნო მოვლენანი, როგორიც არის ლოთობა, ჩხუბიო და სხვა“.

ამ გვარი მქადაგებელნი ერთი თვალის გადახედვით მართალნი არიან, დღეობისა, ქელეხისა და ქორწილების გადახდა გლეხისთვის ხარჯის მხრივ მეტად მძიმე ჩვეულებანი არიან, ამ დროს ხშირად ბევრი უწესოებაც ხდება, მაგრამ ყოველ საქმეს აქვს ცუდი და კარგი მხარე, ჩვენ კი ამ შემთხვევაში მარტო ცუდი მხარე გვაქვს აღებული და აქ არის ჩვენი შეცდომა.

თუ ღრმად ჩავიხედავთ გლეხის ცხოვრებაში და კარგად გამოვიკვლევთ სოფლის ჩვეულებათა ისტორიას, თუ გამოვსძებნით იმ საფუძველს, რაც უდევს მათ არსებობას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ეს ჩვეულებანი გამოწვეული არიან გლეხის ცხოვრების პირობებით და სანამ გლეხის ცხოვრებას ძირიანად არ შესცვლით, სანამ ამ ჩვეულებათა და ადათების მაგივრად სხვას უკეთესს არ მისცემთ, მათი ძირიანად ამოფხვრა შეუძლებელია და არც-კი სასურველი.

რა არის მაგალითად დღეობა? საიდან წარმოსდგა ეს დღესასწაული, ეს ჩვეულება და რად მისდევს დღემდის ჩვენი გლეხი ამ ჩვეულებას?

სხვა და სხვა სოფელს სხვა და სხვა წმინდანი ხატი აქვს, რომელიც სწამს როგორც იმ სოფლის ადგილობრივ მცხოვრებთ, ისე ახლო-მახლო სოფლებსაც. ამ წმინდანის სადღესასწაულოდ დანიშნულია წელიწადში 1 დღე, როდესაც იმ ადგილს გარშემო, სადაც ეს ხატი ასვენია (ხშირად ტყეში, ან სოფლის მოშორებით) შემოიკრიბება ხალხი სხვა სოფლებიდან, ღამეს ათევს, ილოცებს და დილით წირვის შემდეგ ან სტუმრად მივა, თუ იმ სოფელში მოკეთე ჰყავს, ან იქვე, ეკლესიასთან ისადილებს და მიდის სახლში.

თავი და თავი მნიშვნელობა დღეობისა, უმთავრესი მისი საფუძველი ესაა, მაგრამ ამ საფუძველზე აშენებულია ბევრი სხვა წვრილმანი საგანი, რომელიც გამოწვეულია გლეხის ცხოვრების მოთხოვნილებით. მაგალითად დღეობებზე იმართება ბაზარი. აქ გლეხს საშუალება ეძლევა იყიდოს ხარი, კამეჩი, ცხენი, ძროხა, ტანსა და ფეხსაცმელი, სახლის სხვა და სხვა ავეჯეულობა, სამუშაო იარაღი და სხ.

გლეხს არა აქვს დრო საჭირო საგნების სასყიდლად იაროს ქალაქებში, თანაც მარტოდ ვერ წასულა, არც გზა იცის, არც ადგილი და თანაც ეშინიან მოტყუებისა, აქ—დღეობაზე კი ვაჭრობა საჯაროდ ჰხდება, აქვე ჰყავს მრჩეველი მეზობელი და მოტყუებას აქ უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს.

დღეობას აქვს კიდევ შემდეგი მნიშვნელობა: სოფლელი ქალის გათხოვება მომეტებულად დღეობებზე ხდება. ახლად შეღერებული, გასათხოვარი, შეძლებისდაგვარად მორთულ-მოკაზმული, გლეხის ქალი პირველად დღეობაზე გამოდის და აქ ეძებს თავის საბედოს. საცოლო გლეხი აათვალ-ჩაათვალიერებს მას, ლეკურს ათამაშებს და, თუ თვალში მოუვიდა, გაიგებს მის ვინაობას და მეორე დღეს მაჭუალებს მიუგზავნის.

თუ არ დღეობაზე გლეხის ახალგაზრდა ვაჟი გასათხოვარ ქალს შემთხვევით თუ შეხვდება გზად გავლილი, ან ქორწინების დროს ეკლესიაში, თორემ სხვა დრო, სხვა ადგილი, სხვა შემთხვევა მათ არა აქვთ.

დღეობებს ჩვენში ერთგვარი სპორტის ადგილიც უჭირავს. დღეობებში იმართება ჭიდაობა, ჯირითი, ცეკვა, სიმღერა და სხვა. სოფლის ახალგაზრდა ჭიდაობას თუ მისდევს, ამ დღისთვის მისდევს. უნდა უყუროთ, რა სიხარული აქვს მთელს სოფელს, თუ მათმა ფალავანმა წააქცია სხვა სოფლის ფალავანი. წაქცეული იმ წამსვე იპარება სახლში. გამარჯვებული კი კისერ მოღერებული დადის დღეობის ხალხში და ყველას ეჩვენება. ტოლები მისი შურით შესცქერიან, გასათხოვარი ქალები თვალებით აღტაცებას უხატავენ, მოხუცებულნი სიამაყით შეჰყურებენ. ვისაც ჭიდაობა არ შეუძლიან, თავს იჩენს ცეკვით, ჯირითით, სიმღერით და სხვა. ერთი სიტყვით, ხალხი დადის დღეობაზე, რომ სხვა ნახოს და თავის თავიც აჩვენოს.

გლეხს მაგალითად თუ კარგი საქონელი ჰყავს, სხვის საჩვენებლად უთუოდ დღეობაზე გაიყვანს. ურემს კოხტად გადააკრავს ჩარდახს, ჩააგებს საუკეთესო ხალიჩას, მუთაქებს, შეაბავს დასუფთავებულ კამეჩებს, ჩასხავს შიგ ცოლშვილს და წაიყვანს დღეობაზე. სადილის დროს იქვე ურემთან სადილობს და, ცალი თვალი ურმისკენა აქვს. აი, გამოიარა ორმა. სამმა გლეხმა, გაჩერდნენ ურმის წინ და ერთი მეორეს ჰკითხავს:

— ვისია ეს ურემი?

— ამა და ამ კაცისა,

— ძაან კამეჩები ჰყოლია!

პატრონს ესმის ეს ქება და სახეზე ბედნიერების ღიმილი უთამაშებს.

ვინ იცის, მთელი წლის განმავლობაში დღეს პირველად!

ქალი სხვა სოფელში რომ გათხოვდება. მთელი წლის განმავლობაში სამშობლოში ვერ დაბრუნდება და მშობლებსა და ნათესავებს ვერ ნახავს. ამისთვის მას არ სცალიან, დრო არა აქვს. ის ელის, მის სოფელში დღეობა როდის იქნება და ამ დღეს ქმარშვილით მიდის სამშობლოში და თავის ძველ ოჯახში, სოფელში ერთ დღეს ატარებს სიამოვნებით.

ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, გლეხი მთელი წლის განმავლობაში თავაუღებლივ მუშაობს, დღითი დღე მრავალგვარ გაჭირვებს განიცდის, მუშაობა მისი მეტად მძიმეა, ნაშრომ-ნაღვაწი მას არ ახარებს, რადგან გადასახადებს ძლივს ჰფარავს. სტუმრად მისვლა, დასვენება, უქმი, მხიარული დროს გატარება მისთვის არ არსებობს. მხიარულს, სასიამოვნოს ვერას ჰხედავს. გული მისი მუდამ დახურულია, მის სახეზე სიცილს, კმაყოფილებას ვერ დაინახავთ. წელიწადში მას ამგვარი შავი დღე აქვს 350—360. დარჩა მას ორი-სამი დღესასწაული და ორი-სამი დღეობა. ამ დღესასწაულებში ის ერთი წუთით ივიწყებს ყოველდღიურ ჭირსა და ვარამს, ამ დღეებში ასვენებს ჩაწყვეტილ წელსა და მკლავებს, მხოლოდ ამ დღეებში გრძნობს თავის თავს ბატონად, ამ დღეებში სტკბება თავისი ნაშრომით, მხოლოდ ამ დღეებში ცოტად თუ ბევრად უხარის გული და ჩვენ ეს დღეებიც გვინდა წავართვათ გლეხს!

სამაგიეროდ რას ვაძლევთ?

ჩვენ გვაქვს საშუალება, გავერთოთ, სტუმრად ვიაროთ, ვიმხიარულოთ, გვაქვს თეატრები საკონცერტო, საცეკვაო საღამოები, ცირკები თვალისა და გულის დასაკმაყოფილებელი სხვა და სხვა სანახავები, გლეხს კი რა აქვს დღეობის მეტი?

გლეხის ცხოვრების დღენი გამუდმებული მარტის თვის დღეებათ ხომ არ იქნება გადაქცეული, როდესაც ადამიანი ერთ დღეს დარს ვერ ნახავს?

შეიძლება ითქვას, რომ დღეობებზე ბევრი უწესოება ხდება, რომ ლოცვის მაგივრად ლოთობენ, მხიარულობის მაგივრად ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ და სხვა, მაგრამ ამ მოვლენას ჯერ ერთი შემთხვევითი ხასიათი აქვს და მეორე ამ უწესოების მოსასპობად პოლიციის უბრალო ზომებია საჭირო.

სამაგიეროდ ამ დღეობებს, შეიძლება კეთილსასურველი ხასიათი მიეცეს. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ჭიდაობისა, ლეკურისა, ჯირითისა და სხვა გვარ სპორტის წასაქეზებლად დაინიშნოს პრიზები ფულით ან სხვა რაიმე ჯილდოთი.

რატომ არ შეიძლება, სოფლის მოჭირნახულე ადამიანმა ისარგებლოს ამ დღეებით და „თავისი სავაჭრო“ გაასაღოს, როგორც ამას სჩადიან ნამდვილი ვაჭრები?

გადავიდეთ ახლა ქელეხებზე და ქორწილებზე და ვნახოთ, შეიძლება თუ არა მათი მოსპობა?

ადამიანის ბუნებას, როგორც მოგეხსენებათ, სხვათა შორის სჩვევია სიხარული და მწუხარება. ამ ორ გრძნობას სხვა და სხვა თვისება, უკედ რომ ვსთქვათ, სხვა და სხვა მოთხოვნილება აქვს.

ადამიანის გული როდესაც რაიმე შემთხვევით სიხარულით აივსება, თუ ადამიანმა სხვას არ გაუზიარა ეს ტკბილი გრძნობა, თუ მისი სიხარული სხვასაც არ გადაეცა თუ არ თანაუგრძნეს, არ გაიყვეს მისი გრძნობა, სიხარული მისი არაა სრული, ამ სიხარულით გული ვერ დასტკბება. ამ შემთხვევაში სიხარულს სცვლის დაღონება, დაძმარება გრძნობა მარტოობისა, განცალკავებისა.

გულის მწუხარებაც თხოულობს თანაგრძნობას, გაზიარებას, მაგრამ ამ თანაგრძნობამ უნდა შეამციროს, გააქარწყლოს ეს შემცირება, წინააღმდეგ შემთხვევაში მწუხარე გრძნობა მეტად მწვავდება, ორკეცდება და ხშირად ადამიანის გულს ვერ ძალუძს აიტანს იგი.

— იმხიარულე, როდესაც მე ვმხიარულობ!

— იტირე, როდესაც მე ვტირი!

აი ადამიანის სულის ერთ-ერთი მოთხოვნილებათაგანი და ეს მოთხოვნილება უძევს სარჩულად ყოველგვარ ქელეხსა და ქორწილს, საზოგადოდ და კერძოდ, სოფლელ გლეხისას.

ჩვენს ქალაქებში ქელეხები და ქორწილები, მეტადრე პირველი, თითქმის გადავარდა. გარდაცვალებულისა ან ჭირისუფლების პატივისმცემელნი მივლენ ეკლესიაში, შემდეგ მიცვალებულს მიაცილებენ სასაფლაომდე და ბრუნდებიან თავ-თავიანთ სახლებში. ჯვრის წერის დროსაც თითქმის ასე ხდება, იმ განსხვავებით, რომ ახლად ჯვარდაწერილებს მიაცილებენ ეკლესიიდან რკინის გზის სადგურამდე. მაგრამ რაც შესაძლებელია ქალაქებში, შეუძლებელი ხდება სოფლებში.

რომელიმე მახლობლის სიკვდილის დროს აქ იკრიბება ხალხი ხშირად სხვა სოფლებიდან. ეს მოსული ხალხი, რასაკვირველია, ბინას იღებს მიცვალებულის ოჯახში, რადგან სოფლად სასტუმროები და რესტორანები არაა. ამის გარდა ჭირისუფლებს ეხმარებიან მეზობლები მისვლა-მოსვლაში, საფლავის გათხრაში და სხვა. ყველა ამათ ჭამა უნდა. ამ გვარად ეს ხარჯი, რომელიც გლეხს ხშირად ძალიან ძვირად უჯდება, აუცილებლად ხდება.

ქორწილის ხარჯიც აუცილებელია, რადგან [illegible] პატარძლის სახლში [illegible] და როდესაც ჯვრის წერის შემდეგ პატარძალი მიჰყავს თავის სახლში, პატარძალს თან მიჰყვება თავისი მაყრები.

ესეც არ იყოს. როგორ გინდათ, თქვენ მოსთხოვთ გლეხს, შვილის გაბედნიერების დღეს, რაც ხდება 16—20 წელიწადში ერთხელ, თავის სახლის კარი არ გაუღოს მეზობლებს და თავისი მხიარულება მათ არ გაუზიაროს?

აი ყველა ის, რაც აიძულებს ჩვენს გლეხს ხარჯების გაწევას, რაც ჩვენ ასე „გვაწუხებს“. ჩვენ ვერ მიმხვდარვართ ამ ხარჯების აუცილებლობას და ვეუბნევით გლეხს:

— ღარიბი ხარ, მეტს ხარჯებს უნდა მოერიდო! დღეობა მოსპე, სტუმრად დღეობაზე ნურც შენ წახვალ, ნურც სტუმარს დაპატიჟებ. მწუხარებისა, მხიარულების დროსაც ხარჯს ნუ გაწევ, რადგან ეს ხარჯი უნაყოფო, უაზროა.

ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ჩვენ ვეუბნებით გლეხებს:

— შენ ადამიანი არა ხარ! სიხარული და მწუხარება შენი საქმე არაა. შენ ხარ შინაური, მუშა საქონელი. შენ სხვისთვის და მარტო სხვისთვის უნდა იმუშაო. შენი ერთად-ერთი მოთხოვნილება უნდა იყვეს, რომ გაიძლო მუცელი იმდენად, რომ არ მოკვდე, ტანთ ჩაიცვა იმდენად, რომ არ გაცივდე და არ დაუძლურდე. რადგან შენი ჯანი და არსებობა საჭიროა იმისათვის, რომ სხვა გამოჰკვებო, სხვას ჩააცვა, სხვა ამხიარულო!

ამას კი, დარწმუნებული ვარ, არ ეტყვის გლეხს ის, ვინც უქადაგებს დღეობებისა, ქელეხების და ქორწილების მოსპობას. ვიცი, მათ ეს მოსდით გლეხის სიყვარულით, არ უნდათ, რომ ნივთიერად ისედაც გაჭირებულს გლეხს ზედ-მეტი ხარჯები ჰქონდეს, მაგრამ ამ გვარი აზრი შემცდარია, რადგან ეს ჩვეულებანი, როგორც ზევით ვეცადე დამემტკიცებინა, გლეხის დღევანდელი ცხოვრების პირობების შედეგია.

შესცვალეთ ეს პირობები და ეს ჩვეულებანიც შეიცვლება.

ცხოვრების კანონი კი ასეთია: თუ რასმე მართმევ, სამაგიერო უნდა მომცე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ „რასმეს“ არ დაგანებებ.

ხვ. ყ-ნი.

# ქალაქის საბჭო

7 ქრისტეშობისთვე.

კრებას თავმჯდომარეობს ა. ი. ხატისოვი.

**ხმ. კეილი** (თავმჯდომარეს): სასანიტარო ექიმი, სანიტარულ წეს-რიგის მიხედვით, ხანდისხან ვაჭრობის ნებას არ აძლევს ამა თუ იმ პირს, მაგრამ ქალაქის გამგეობა კი იმავე პირს აძლევს ნებართვას. ამ ნაირად სასანიტარო ექიმი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. გამგეობა თუ სასანიტარო ექიმის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, აცნობოს მაინც, რომ შენს განკარგულებას არ ვეთანხმებითო.

**ბ-ნი ხატისოვი** გამგეობა უმაღლესი ორგანოა სასანიტარო ექიმი კი ხელქვეითი. თუ მოიწონებს ექიმის განკარგულებას, შეასრულებს, არ მოიწონებს და არ შეასრულებს. ყოველ შემთხვევაში, ხმოსანმა კეილმა ფაქტები მაინც უნდა დაასახელოს.

**ხმ. კეილი** რესტორან „ანონას“ და „კრუჟოკის“ ბუფეტს, რომელთა პატრონებისათვის სანიტარულის მოსაზრებით, ექიმს არ უნდოდა ვაჭრობის ნებართვა მიეცა, გამგეობამ კი ნება დართო.

**ბ-ნი ხატისოვი** „ანონა“ დიდი რესტორანია, იმას ყველა მომსვლელ-წამსვლელი კარგად იცნობს და ასე უბრალოდ იმის დაკეტვა არ შეიძლებოდა ზოგიერთ სანიტარულ დეფექტების გამო, რომელთა განდევნა ძნელი არ იყო.

**ხმ. ქობულაშვილი.** წარსულ კრებაზე განაცხადა ქალაქის საავადმყოფოში მივიყვანე ჩემი ნათესავი ბავშვი და მთელი 2 საათი ვიცადე, სანამ ექიმი მოვიდოდაო.

გამგეობის წევრმა **ა. მ. არღუთინსკიმ** ამის გამო განაცხადა: ხმ. ქობულაშვილს მართლაც მიუყვანია საავადმყოფოში ბავშვი, მაგრამ იმ დროს მორიგე ექიმი ტიგრანოვი ოპერაციის გასაკეთებლად ყოფილა ამავ საავადმყოფოში ავადმყოფთან. მსახურებს სხვა სპეციალისტი ექიმი მიუყვანიათ, რომელსაც მიუღია ქობულაშვილის მიყვანილი ბავშვი და დახმარება აღმოუჩენია მისთვის.

**ხმ. ქობულაშვილი.** გამგეობის ცნობები მართალი არ არის. საავადმყოფოში მოსამსახურეებმა მითხრეს, ექიმი აქ არ არის და არც მოვა ადრეო. შემდეგ კაცი გაგზავნეს სხვა ექიმთან, რომლის მოსვლას ორი საათი ველოდი.

**ა. ი. ხატისოვი.** მორიგი ექიმი იქ იყო, მაგრამ მოსამსახურეთ არ უთქვამთ

თქვენთვის. ისინი ვალდებული არ არიან ყველა მიმსვლელს უამბონ, რომელ ოთახშია ექიმი და რას აკეთებს.

**ხმ. ქობულაშვილი.** მე ვამტკიცებ, რომ ექიმი იქ არ ყოფილა. იქ რომ ყოფილიყო, რატომ დამალავდნენ მოსამსახურენი, როცა იმდენს ვიცდიდი და ყოველ წუთში ვკითხულობდი. გამგეობის ცნობები არ არის მართალი.

**ი. ი ხატისოვი.** თქვენ არ შეგიძლიან ასე ილაპარაკოთ. გამგეობის ცნობები მუდამ მართალია.

**ხმ. ბაზოვი და ხუნდაძე** ესარჩლებიან ქობულაშვილს.

**ხატისოვმა** კრებას აუწყა ხმოსნად ნამყოფის ა. ბ. ევანგულოვის გარდაცვალება და საბჭოს სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცა განსვენებულისათვის, რაიცა შესრულებულ იქმნა.

საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება, რომ იმ მოსამსახურეებს, რომელთაც თვეში 35 მანეთზე მეტი არ ეძლევათ, დამატებით ჯამაგირის ძლევა განეგრძოთ 1 ქრისტეშობისთვიდან და დაადგინა: მიმდინარე თვეში ამ საგნისათვის გადაიდვას 1.500 მანეთი, ხოლო ახალ წლიდან მისაცემ თანხის შესახებ ცალკე მოხსენება წარმოადგინოს გამგეობამ.

**ა. მ. არღუთინსკიმ** წაიკითხა მოხსენება შიოევისსეულ სახლის შენების შესახებ. მოიჯარადრე თხოულობს, შემოპირებულ ფასის 30 პროც. მომიმატეთ, თორემ ომის გათავებამდე მუშაობას თავს დავანებებ და ზარალს ქალაქს მოვსთხოვო. ეს 30 პროც. შეადგენს 34 ათას მანეთს. გამგეობას დაუდგენია, მოიჯარადრე დააკმაყოფილოს.

**ა. მ. არღუთინსკი.** 1 კვირის განმავლობაში გამგეობამ სცადა თავისის საშუალებით შენობაზე მუშაობა და დარწმუნდა, რომ სჯობიან ისევ მოიჯარადრეს მიემატოს 30 პრ.

**ა. ი. ხატისოვი.** ზედმეტი ფულის მიცემა, მართალია, საძნელოა ქალაქის კასისათვის, მაგრამ უამისობა არ შეიძლება, რადგან ისე მოიჯარადრე არ განაგრძობს მუშაობას და ამით-კი ქალაქი მეტ ზარალს ნახავს, ვინაიდან სახლი როცა მზად იქნება, 40,000 მანეთს შემოიტანს წლიურ ქირას.

**არ. ს. ბაზოვი.** ოღონდ სახლის შენება ნუ შეწყდება და 1—2 პროცენტი კიდევ მეტი მიეცით.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება ხმ. ხუნდაძის შესწორებით, რომ 34,000 მანეთი მხოლოდ იმ პირობით მიემატოს მოიჯარადრეს, თუ იგი აღნიშნულ ვადაში დაამთავრებს შენობას, რისთვისაც თავის დროზე უნდა მოიმზადოს ყოველგვარი მასალა და საჭირო კომპლექტი მუშებისა.

მოსმენილ იქმნა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ **ნაძალადევსა, ლოდკის გორაზე** ქალაქმა მოიჯარადრეთ აღუდგინოს უფლება ქალაქისაგან იჯარით აღებულ მამულების შესყიდვისა. ხსენებულ უბნებში 1,600 კ.-ცს საქალაქო პატარ-პატარა მამულები აქვთ იჯარით აღებული და ამ მამულებზე დასახლებული არიან. 250 მოიჯარადრემ მოისურვა საიჯარო მამულის გამოსყიდვა ქალაქისაგან, ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით. ვინც ვადაზე ფულს ვერ წარადგენდა, წინად გარდახდილი დაეკარგებოდა და მამული ქალაქის საკუთრებად რჩებოდა. ომიანობის გამო 34 ოჯახი ისეთ გაჭირვებაში ჩავარდა, რომ დროზედ ფულის შეტანა ველარ შესძლეს. ამიტომ მათ შუამდგომლობა აღძრეს, დაკარგული უფლება აღგვიდგინეთო.

გამგეობამ შესაძლებლად სცნო ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭომაც დაადასტურა ეს გადაწყვეტილება.

# მოწოდება

აუტანელია ქართველ მწერლის და საზოგადო მოღვაწის მდგომარეობა.

მძიმე ტვირთი აწევს მას ზურგზე.

დიდია მისდამი მიმართული მოთხოვნილება.

ბევრი რამ მოეთხოვება, ბევრს მოვთხოვთ, ვავალებთ კიდეც.

ამავე დროს სულაც არა ვფიქრობთ მისს უზრუნველყოფაზე, ცხოვრების პირობების გაუმჯობესობაზე.

არად მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის მოამაგენი უალრეს გაჭირვებას განიცდიან, არა აქვთ ხეირიანი ბინა, თბილი ლუკმა...

ჩვენი მწერალი, მსახიობი, მგოსანი, მხატვარი, პუბლიცისტი—თითქმის ყველა ამ ტაფაში იწვის...

ჩვენ მათი ბედი არ გვაინტერესებს, მათს გასაჭირს ყურადღებას არ ვაქცევთ.

მხოლოდ მაშინ მოგვაგონდებიან, როცა ცხოვრებასთან ბრძოლით დაქანცულნი ძირს ეცემიან, როცა ველარა ეშველებათ-რა...

მაშინ ძვირფას გვირგვინებით ვამკობთ, ვსტირით დანაკარგს, თავში ვიცემთ...

იმას კი აღარა ვფიქრობთ, რომ სიკვდილის შემდეგ გამოჩენილ ყურადღების მეათედი, მეასედი იყო საკმარისი, რომ უდროოდ დაკარგულს კიდევ დიდ ხანს ეცოცხლა და ემოღვაწნა სამშობლოს ნიადაგზე.

ჩვენის ასეთის გულგრილობის ნაყოფი მრავალია, მრავლად დავკარგეთ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც ბევრის გაკეთება შეეძლოთ ცხოვრების პირობები, რომ ცოტა უკეთ მოსწყობოდათ...

დავკარგეთ ე. ნინოშვილი, ა. ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა... კიდევაც ბევრს დავკარგავთ, თუ დროზე გონს არ მოვედით, თუ სიცოცხლითვე არ დავისწავლეთ საზოგადო ღვაწლის დაფასება, თუ ამ თავითვე ცხოვრების პირობები არ შეუცვალეთ ჩვენი ქვეყნის მოჭირნახულეთ.

ეს აზრი კარგა ხანია გამოითქვა ქართულს პრესაში. განსაკუთრებით ფეხი გაიდგა მან ჩვენი დიდებული მგოსნის ვაჟა-ფშაველას უდროოდ გარდაცვალების შემდეგ.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ თავის წმინდა მოვალეობად ჩასთვალა, ანგარიში გაეწია ამ საერთო სურვილისათვის, თავს იდვა აუცილებლივ საჭირო ეროვნულ საქმის გაძღოლა.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ჩვენის კულტურის ყოველ მხრივი შესწავლა და გამომზეურება, გვერდს ვერ აუხვევს ამ კულტურის ცოცხალ ძალებს, იმ მუშაკებს, რომელნიცა ჰქმნიან ჩვენს კულტურას, ემსახურებიან ქართველ ერის წარმატება-აღორძინებას.

ამ მიზნით საზოგადოებამ გადასწყვიტა თავის განსვენებულ საპატიო წევრის ვაჟა-ფშაველას სახელობაზე **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** აშენება ს. წაღვერში და შესაფერი შუამდგომლობაც აღძრა.

საქმის უკეთ მოსაწყობად დაარსდა განსაკუთრებული სააგარაკო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

დღეს ეს კომისია მოუწოდებს ყველა ქართველს, ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენის სამშობლოს მომავალი, კეთილ დღეობა: ვისაც რითი შეუძლიან ხელი შეუწყოს ამ აგარაკის აშენებას!

ნუ დაინანებთ თითო-ოროლა გროშს წმიდა საქმისათვის!

ვისაც რა შეგეძლოთ, იმით შემოგვეწიეთ! ყოველი შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული, ხოლო შემომწირველთა სია—თავისს დროზე გაზეთებში გამოცხადებული. შემოწირულება მიიღება:

1. ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების კანცელარიაში (სასამართლოს ქ. № 26, ბინა გ. ჟორდანიასი, ტელეფონი № 17—00) ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, 12—2 საათამდე;

2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—ივ. ავალიშვილთან;

3. დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2), თამარ დარეჯანიშვილთან;

4. ხარფუხის კლუბში—ალ. ლორთქიფანიძესთან;

5. თბილისის ქართულ გაზეთების რედაქციებში.

ვთხოვთ ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

# პროვინციის ქრონიკა

**ოზურგეთი**

ოზურგეთში პური არ იშოვება, მეფურნეები ნიხრის მომატებას ითხოვენ.

— ქართ. საქველმოქმედო საზ. აქაურმა განყოფილებამ მიიღო მთავარ გამგეობისაგან 1000 მანეთი, რომელიც გადმოხვეწილთ უნდა დაურიგდეს.

— ქალაქის თვითმართველობას განკარგულება მოუვიდა, 1897 წ. დაბადებულთა სია ხუთმეტ ამ თვემდე დაამზადოს.

— ოზურგეთში უკვე ჩამოვიდა ახალი მომრიგებელ მოსამართლე ორჟელი.

**თელავი**

სამ ამ თვეს გაფიცვა მოახდინეს ვოლონოვის აფთიაქის მოსამსახურეებმა. მათი მოთხოვნი ლება საჩქაროდ დააკმაყოფილეს. მუშაობა განახლდა.

**ფოთი**

ფოთის ქალაქის აფთიაქის ფარმაცევტებმა ახალი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქალაქის გამგეობას.

**ხონი.**

ამ ახლო მომავალში აპირებენ დააარსონ სამეურნეო წრე, რომელიც ხელს შეუწყობს მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს.

**სამტრედია.**

მას შემდეგ, რაც აქ კოოპერატივის დუქანმა მოქმედება დაიწყო ჩარჩ-ვაჭრები საგონებელში ჩაცვივდნენ და დაუწიეს საქონლის ფასს, მაგრამ ვერც ამით გახდენ რამეს. კოოპერატივის დუქნებს აუარებელი ხალხი აწყდება და საქმეც გვარიანად არის დაყენებული.

**ფშავ-ხევსურეთი.**

წელს ფშავ-ხევსურეთში მოსავალი გვარიანი ყოფილა, მაგრამ თოვლს მოუსწრია, ჰირნახული ქვეშ მოუტანია და გაუფუჭებია. ფშავ-ხევსურეთის მთებზე დიდი თოვლი სძევს.

**ქუთაისი.**

აქაურ რკინის გზის მუშათა შორის, ამ ბოლო ხანს ძლიერ გახშირდა ბანქოს თამაში. სათამაშოდ თურმე მახლობელ სადგურებიდანაც კი მოდიან. მეტად მიუტევებელი და სამარცხვინოა დღევანდელ მდგომარეობაში ასეთი ქცევა.

**ბაქო.**

ნავთის მრეწველთა მე-34 ყრილობაზე კითხვა დაისვა თუ სად აშენდეს მუშებისთვის საცხოვრებელი ბინა. ერთხმად დაადგინეს პირველად ბინაააშენონ ბიბე იბათის უბანში. საქმეს შეუდგებიან ომის შემდგომ. მუშათა რწმუნებულმა ნავთის მრეწველთა ყრილობაზე თავიანთ გაჭირვების შესახებ განცხადება შეიტანა, მაგრამ ყრილობამ უყურადღებოდ დასტოვა.

**სოფ. გორდი.**

საძოვარ მთებზე დიდი თოვლი მოვიდა. მეჯოგეები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მიმოსვლა შეწყვეტილია.

**სოფ. დიდი-ჯიხაიში.**

მამასახლისი ადგენს სიას 1897 წ. დაბადებულთა, რომელნიც ამ თვის ბოლოს ჯარში უნდა გაიწვიონ.

— ადგილობრივ დუქნებში ხშირად სრულიად არ იშოვება ნავთი და ასანთი, მუდმივად არც მარილი იშოვება, აქაც დაიწყეს სანოვაგის და სხვა პირველ საჭიროების საგნების მალვა.

# მუშათა შორის

სპარსეთის ამბებისა გამო ხე-ტყის წარმოება კლებულობს და ბევრი მუშა უსაქმოდ რჩება.

მურღულში შეწყვეტილი მუშაობა, თანდათან ახლდება და კალაპოტში სდგება. მურღულს კვლავ ბლომად აწყდება მუშები.

—

ვლადივოსტოკის რკინის გზის დაბალი მოსამსახურენი ცხოვრების გაძვირების გამო ჯამაგირის მომატებას ითხოვენ.

—

დარბეულ აჭარიდან ამ ჟამად ბევრი მუშა გადადის სხვა ადგილებში სამუშაოს საძებნელად, რამდენიმე პირი ჩამოვიდა თბილისშიდაც, საჭიროა ქართველმა მუშები თანაგრძნობით მოეკიდონ განსაცდელში მყოფ თანამოძმეთ.

—

ყვირილის ნოქრები და სხვა დაბალი მოსამსახურენი მეტად ჩამორჩენილნი არიან, ისინი ყურადღებას არ აქცევენ ჟურნალ-გაზეთებს თვითგანვითარებას და გათვითცნობიერებას.

—

ხონის სამიკიტნოების მოსამსახურეთა შორის ძლიერ გავრცელდა ცუდი ზნე-ჩვეულება აქაურ მოწაფეებთან ერთად ისინი თუ თავისუფალი დრო იშოვეს კარტის თამაშში და ლოთობაში ატარებენ.

# სომეხთა ცხოვრება

გაზეთ „მშაკს“ ვანიდან ატყობინებენ: ამ ხანად ქალაქ ვანში 1600 გამოქცეულია, მხოლოდ მის მახლობლად 4.500. ამ რიცხვიდან 70 პროცენტი მამაკაცია. გამოქცეულები თან და თან უბრუნდებიან ძველ მამულ დედულს.

— პროფესორ ნ. მარის დახმარებით ვანში გამოუგზავნიათ სპეციალისტი პირი, რომელსაც მინდობილი აქვს დაიცვას კულტურულ ისტორიული ნაშთები ძველ სომხეთისა. განზრახულია შეჰკრიბონ ყველა ისტორიული საეკლესიო თუ სხვა ხელნაწერები და შესანახად ეჩმიაძინს გაჰგზავნონ, რასაც სრულიად სომხეთა კათოლიკოსიც ეთანხმება.

ნ. მარის მიერ გამოგზავნილ სპეციალისტს, დავალებული აქვს ყურადღება მიაქციოს აგრეთვე მაჰმადიანთა და ასურელთა ნაშთებსაც.

— ამერიკის სომხობა ომიანობისგან დარბეულ - დაზარალებულ სომეხთათვის თავის წვლილს გამოიღებს.

— ავსტრიელი სომხები ოსმალეთში სომეხთა მდგომარეობის შესახებ იმპერატორ ფრანც იოსებს თხოვნით მიჰმართავენ.

— ბულგარეთი ატუსაღებს სომხებს და ოსმალეთში ჰგზავნის.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

გაზეთ „აჩიგ სოზს“ შემახიდან ატყობინებენ: იქ გარდაიცვალა მაჰმად. საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ღაჯი ალი ჰუსეინ ოღლი, რომელიც გამოგზავნილი იყო საქველმოქმედო საზოგადოების მიერ, შემახის გამოქცეულთა დასახმარებლად. განსვენებული კარგად ცნობილი იყო მაჰმადიანთა საზოგადოებაში.

**დახმარება აჭარელთ.**

„ენი იქბალის“ ცნობით ზემო და ქვემო აჭარის დაზარალებულ მცხოვრებთა მდგომარეობა უკვე გამოურკვევია ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულს და საკვების დარიგებაც დაუწყვია. ახლო მომავალში დაარიგებენ სათბილობელს, რომელიც უკვე გამოიგზავნა ბაქოდან. დიდი მადლობის ღირსია აჭარელთა დახმარების საქმეში ექიმი სულთანოვი და მისი თანაშემწე ჯევად რიზა.

— სამარყანდის მოსამართლედ ნამყოფ ფარსუნ მუჰამედ ამინოვს 10,000 მანეთი შეუწირავს ხელმოკლე ჯარისკაცთა ოჯახებისთვის დასარიგებლად.

— თურქესტანიდან იუწყებიან: ამ დღეებში იქ გაიმართება მიწადმოქმედების კომიტეტის გამოფენა, სადაც სხვათაშორის აჩვენებენ აგრეთვე მაჰმადიან ქალების ხელსაქმეს, და სხვა და სხვა ქსოვილებს.

— პეტროგრადის მ. შ. წ. კ. გ. ს. „ნაშრ მუარიფს“ ამ ბოლო დროს გამოფხიზლება ეტყობა, საზოგადოებას განუზრახავს მოაწყოს სღამოს კურსები მოზრდილ მუსულმანთათვის, გამართოს უქმე დღეებში სახალხო ლექციები და ხელი შეუწყოს მაჰმადიანთა გათვითცნობიერებას. ესაა, რომ საზოგადოებას პეტროგრადში შენობა არ აქვს, რაიც მეტად უჭირებს საქმეს იმედია შეძლებული მაჰმადიანები ამას ყურადღებას მიაქცევენ.

# რუსეთი

**მახთის (გადასახადის) რეფორმა.**

ფინანსთა მინისტრს შეუმუშავებია კანონ-პროექტი, რომელიც ძირიანათა სცვლის რუსეთში არსებულ მახთის სისტემას. მთავარი მიზანი ახალი კანონისა, მინისტრის აზრით, სახელმწიფო ხაზინის გამდიდრებაა. მას შემდეგ რაც რუსეთში არყის მონოპოლია მოისპო, ხაზინის შემოსავალი საგრძნობლად დაეცა. პროექტით განზრახულია ბევრი ახალი მახთის დაწესება.

პირდაპირი მახთის გარდა განზრახულია შემოიღონ მახთი შემოსავალზედ. შემდეგ მოემატება მიწის და მრეწველთა მახთას. მოემატება საზოგადოდ ყველა გადასახადებს და დაწესდება სამხედრო მახთა. მინისტრის ანგარიშით ხაზინას შემოსავალი ექნება ამ შემთხვევაში 275 მილ. მანეთი.

განსაზღვრულია დაწესდეს ახალი არაპირდაპირი მახთა; მასთანვე მინისტრს აზრად აქვს ომის შემდეგაც დასტოვოს მომატებული აქციზი. დაწესდება აქციზი ღვინოზედ, ელექტრონის ძალაზე და ქსოვილებზედ. აქაც ნაანგარიშევია შემოსავალი 361 მილ. მანეთი.

მინისტრი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ არაპირდაპირ მახთის შემოღების შემდეგ პირველ საჭიროების საქონლის ფასი საშინლად მატულობს. ხშირად ფასს ერთი ორად უმატებენ, ვითომდა მახთის გამო. ამიტომ განზრახულია დაწესდეს უკანასკნელი ფასი ზოგიერთ პირველ საჭიროების საქონელზედ. ახალი კანონით უნდა დაწესდეს ასანთის მონოპოლია.

ამასთანავე მინისტრი დაწვრილებით ცნობებს ჰკრებს ჩაით ვაჭრობის შესახებ. მას განზრახვა აქვს ჩაის სახელმწიფო მონოპოლია შემოიღოს.

# უცხოეთი

**ზავი და მადა**

გერმანელი პროგრესისტი ნაუმანი თავის ჟურნალ „Hilfe-“ში სწერს თუ რა ხელოვნებით შეიძლება ზავი ჩამოვარდეს დღევანდელ მებრძოლთა შორისაო. ნაუმანი ამბობს, რომ მას აინტერესებს მომავალ ზავის შინაარსი, იგი განიხილავს სხვა და სხვა ომის შედეგს და ზავის ნაყოფს. ზოგიერთა ზავიო ამბობს იგი, ფრიად ნოყიერია, მსუქანი, ზოგი კი ისეთი მჭლე, რომ სათქმელადაც არა ჰღირსო, არის, მაგალითად, ზავი „დაღლილობისა“, „უილაჯობისა“ და ზავი აუცილებელი, რომელიც გამარჯვებულის მახვილის წვერით იწერება. ნაუმანი აფრთხილებს მკითხველებს, ყოველ შემთხვევაში პარალელების გატარება ძველსა და ახალი დროს შუა არც ისე რიგად არის საგულისხმიერო, რადგანაც თანამედროვე ტეხნიკამ ყოველისფერის გარდაფასება მოახდინაო. ვიდრე ჩვენი მტრები ჰფიქრობენ, რომ სისხლის ღვრის გაგრძელება მათ უშველის, თქმა არ უნდა, ჩვენის მხრით ზავის კარნახი მეტი არის. ჩვენ უნდა ხმლის წვერით გავუფანტოთ ეს რწმენა. ზავის ნიადაგისთვის ყველაზე უმჯობესს დიპლომატობას ისევ გამარჯვება სწევს, გამარჯვება და... გამარჯვება...

**ინგლისელი** ზომიერთა პარტიის ჟურნალში „Ta-Stat“ შემდეგ პირობებს იძლევა ზავის ჩამოსაგდებათ: 1. აღდგენილ იქმნეს ბელგეთი, 2. ელზას ლოტარინგია დაუბრუნდეს საფრანგეთს, 3. აღდგენა პოლონეთისა რუსეთის იმპერიის საზღვრებში, 4. ოსმალთა გათიშვა ევროპიდან, 5. ისტრიისა და ტრიენტოს დაბრუნება იტალეთის საკუთრებად, 6. გერმანეთს მოესპოს ყოველი კალონია შორეულს აღმოსავლეთში, 7. აღდგენა დიდი სერბეთისა ბოსნია-ჰერცოგოვინიათურთ და 8. პრუსიის მილიტარიზმის სრული მოსპობა. რადგანაც წარმოუდგენელია გერმანეთმა არა თუ მიიღოს ზავის პირობებად ასეთი წინადადება, არამედ განსახილველად მაინც სცნოს საჭირო, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ზავზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი,

**გერმანიაში მყოფ დატყვევებულ-[illegible]**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ სააგ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ¿ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის. . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.


1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბევლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартқиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, ს[illegible] მრეწველობებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „[illegible] **შოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა [illegible] ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკებ[illegible] რუსეთის და საზღვარგარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი 4. №